პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მინიჭებული ხარისხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა / მოცულობა ECTS კრედიტებში: სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 3-5 წელია (6-10 სემესტრი, 30 ECTS კრედიტი; 1 ECTS = 25 საათი)

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღი: პროგრამა შემუშავდა 2024 წელს

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი : გიორგი კამკამიძე, პროფესორი

პროგრამის წინაპირობები:

- მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი*
- განაცხადი - კვლევითი პროექტი
- ინგლისური ენის B2 დონეზე კომპეტენცია**

** კონკურსის საფუძველზე შერჩეული საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეები ბიოლოგიის/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, ვეტერინარიის, სტომატოლოგიის, მედიცინის, საექთნო საქმის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პროფესიული უსაფრთხოების კვალიფიკაციით. სადოქტორო პროგრამაზე მიღება და ჩარიცხვა, ასევე მიღების პროცესი და მისი განხორციელება განისაზღვრება დოკუმენტით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.*

***ინგლისური ენის კომპეტენცია დასტურდება: ა) საერთაშორისო[1] და/ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მოქმედი სერტიფიკატით, ბ) სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით[2].*

[1] ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატთან მიმართებით მოთხოვნები განსაზღვრულია დოკუმენტით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

[2] უცხო ქვეყანაში გაცემული დიპლომი აღიარებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

პროგრამის მიზანი(ები) :

სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები ბიომედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მათთან დაკავშირებულ სფეროებში კვლევითი და პრაქტიკული აქტივობისთვის.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- **LO-1:** კურსდამთავრებული განმარტავს კონკრეტული სამეცნიერო კვლევის და მისი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებით არსებულ მონაცემებს, მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე.
- **LO-2:** კურსდამთავრებული განმარტავს ექსპერიმენტულ მოდელს და კვლევის თემატიკის/სამეცნიერო მიმართულების სპეციფიკის შესაბამისად აყალიბებს კვლევის დიზაინს ბიოეთიკის სტანდარტების დაცვით.

უნარი:

- **LO-3:** კურსდამთავრებული აანალიზებს და აფასებს მიღებულ შედეგებს, აყალიბებს ორიგინალურ დასკვნებს და გეგმავს ინოვაციურ კვლევით აქტივობებს.
- **LO-4:** კურსდამთავრებული აანალიზებს პრობლემებს და აფასებს რისკ-ფაქტორებს, აყალიბებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- **LO-5:** კურსდამთავრებული აკადემიური წერის სტანდარტის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით აყალიბებს და წარადგენს ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს.
- **LO-6:** კურსდამთავრებული ახორციელებს პრაქტიკულ საქმიანობას ბიომედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მომიჯნავე სფეროებში.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრა:

პროგრამის მიზანი / **სწავლის შედეგები**	მაღალკვალიფიციური პროფესიონალის მომზადება ბიომედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მათთან დაკავშირებულ სფეროებში კვლევითი და პრაქტიკული აქტივობისთვის.
LO-1: კურსდამთავრებული განმარტავს კონკრეტული სამეცნიერო კვლევის და მისი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებით არსებულ მონაცემებს, მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე	X
LO-2: კურსდამთავრებული განმარტავს ექსპერიმენტულ მოდელს და კვლევის თემატიკის/სამეცნიერო მიმართულების სპეციფიკის შესაბამისად აყალიბებს კვლევის დიზაინს ბიოეთიკის სტანდარტების დაცვით	X

LO-3: კურსდამთავრებული აანალიზებს და აფასებს მიღებულ შედეგებს, აყალიბებს ორიგინალურ დასკვნებს და გეგმავს ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს	X
LO-4: კურსდამთავრებული აანალიზებს პრობლემებს და აფასებს რისკ-ფაქტორებს, აყალიბებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს	X
LO-5: კურსდამთავრებული აკადემიური წერის სტანდარტის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით აყალიბებს და წარადგენს ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს	X
LO-6: კურსდამთავრებული ახორციელებს პრაქტიკულ საქმიანობას ბიომედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროებში	X

დასაქმების სფერო: ბიომედიცინის, მედიცინის, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მომიჯნავე სფეროში მოქმედი აკადემიური და კვლევითი დაწესებულებები/ორგანიზაციები. სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს:

- მკვლევარად კერძო და სახელმწიფო პროექტებში
- მკვლევარად კლინიკურ კვლევებში
- აკადემიურ თანამდებობაზე უნივერსიტეტში
- კონსულტანტად კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

<u>სწავლების ფორმატი და მეთოდები:</u>

ინტერაქტიული მუშაობა ჯგუფში - გამოიყენება სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას; ეს არის აქტიური სწავლების მეთოდი და ხორციელდება მცირე ჯგუფებში. ინტერაქტიული მუშაობა ჯგუფში შეიძლება მოიცავდეს თეორიული მასალის განხილვას, პრაქტიკული სიტუაციის ანალიზს, დისკუსიას კონკრეტულ თემაზე და ა.შ.

კონსულტაციები - გამოიყენება თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობისა და განხილვებისთვის.

პრაქტიკული სამუშაო – მიზნად ისახავს თეორიული ცოდნის გამოყენებას კვლევის ან პრაქტიკული საქმიანობის/ექსპერიმენტის განსახორციელებლად. პრაქტიკული სამუშაო შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო სემინარს, კოლოკვიუმს, კლინიკური შემთხვევის / პროექტის / სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას და ა.შ.

გარდა ამისა, დოქტორანტი ახორციელებს კვლევით სემინარს და ასისტირების კომპონენტს, ის მონაწილეობს თსა-ს სასწავლო და კვლევით პროცესებში.

სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ფორმატი ეფუძნება მიდგომებს „სწავლა კეთებით“ და „სწავლა სწავლებით“, რაც ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმატად არის მიჩნეული.

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ კურიკულუმი მოიცავს ორ კომპონენტს:

- სასწავლო კომპონენტს, რომელიც განისაზღვრება 30 ECTS კრედიტით, და
- კვლევით კომპონენტს.

<u>სასწავლო კომპონენტი</u> მიზნად ისახავს დოქტორანტის ბიომედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებით მეთოდოლოგიურად დახელოვნებას. დოქტორანტი გაივლის სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, მოამზადებს და განახორციელებს თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში სასწავლო კურს(ებ)ს სამეცნიერო ხელმძღვანელთან, თსა-ს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე. ის ასევე უწევს მენტორობას სტუდენტური კვლევითი პროექტ(ებ)ის დაგეგმვას და განხორციელებას.

<u>კვლევითი კომპონენტი</u> გულისხმობს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის თემის შესაბამისად სამეცნიერო მასალის მოძიებას, განხილვას, ანალიზს და ინტერპრეტაციას, არსებული ცოდნის მიმოხილვას, სამეცნიერო ჰიპოთეზის ფორმულირებას, კვლევის განხორციელებას, მონაცემების შეგროვებას, ინტერპრეტაციას და ანალიზს, სამეცნიერო პუბლიკაცი(ებ)ის მომზადებას და გამოქვეყნებას, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, პრეზენტაციას და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი სრულდება მკაცრად განსაზღვრული აკადემიური სტანდარტების დაცვით და გამოქვეყნებისთვის მოთხოვნილი ფორმატით, რომელიც განისაზღვრება დოკუმენტით „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის აკადემიური წერის სტანდარტი“.

<u>სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება</u> 30 ECTS კრედიტის მოცულობით და მოიცავს 4 სავალდებულო სასწავლო კურსს (25 ECTS კრედიტი) და 4 არჩევით სასწავლო კურსს.

<u>კვლევითი კომპონენტი</u> მოიცავს 4 სავალდებულო აქტივობას.

სასწავლო გეგმა:

კურსი	სტატუსი	ECTS კრედიტი	სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X

		ზ ი										
სასწავლო კომპონენტი - 30 ECTS												
საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპები	M*	10	x									
ასისტირება	M	5			x	x	x	x	x	x	x	
კვლევის მეთოდები	M	5	x									
ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა	M	5	x									
აკადემიური წერა	E**	5	x									
საპროექტო განაცხადის მომზადება	E	5	x									
სამედიცინო განათლება	E	5	x									
შეფასება სამედიცინო განათლებაში	E	5		x								
კვლევითი კომპონენტი												
აქტივობა			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
პროსპექტუსი			x	x								
კვლევითი სემინარი					x	x	x	x	x	x	x	
სამეცნიერო პუბლიკაცია				x	x	x	x	x	x	x	x	
სადოქტორო ნაშრომის შესრულება და დაცვა					x	x	x	x	x	x	x	x

**M - სავალდებულო სასწავლო კურსი*

***E - არჩევითი სასწავლო კურსი*

კვლევითი კომპონენტი. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის განხორციელება იწყება პირველივე სემესტრიდან. პირველ რიგში ეს გულისხმობს პროსპექტუსის მომზადებას და დაცვას.

პროსპექტუსი. სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ იწყება პროსპექტუსზე მუშაობით. აქტივობა გულისხმობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად პროსპექტუსზე მუშაობას, რომელიც იქმნება სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის განაცხადში (განსაზღვრულია დოკუმენტით „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე. ამ აქტივობის ფარგლებში დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად:

- განსაზღვრავს სადისერტაციო კვლევის თემას/პრობლემას და მის აქტუალობას
- ახორციელებს ლიტერატურის მიმოხილვას, რაც გულისხმობს სადისერტაციო თემის/პრობლემის შესახებ უახლესი სამეცნიერო ცოდნის, ექსპერიმენტული კონცეფციების და დიზაინის, კვლევის მეთოდების განხილვას და ანალიზს
- აყალიბებს კვლევის მიზანს, ამოცანებს და მეთოდოლოგიას
- განსაზღვრავს კვლევის გეგმას და მოსალოდნელ შედეგებს
- ადგენს ბიბლიოგრაფიას.

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დოქტორანტს უტარდება კონსულტირება როგორც კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებზე, ასევე სამეცნიერო პროექტის შედგენის და წარდგენის, მონაცემების სტატისტიკური ანალიზის პრინციპებზე და კვლევის ბიოეთიკურ ასპექტებზე სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. პროსპექტუსზე მუშაობა ასევე გულისხმობს დაგეგმილი სადისერტაციო კვლევის თსა-ს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის მიერ განხილვას საერთაშორისოდ აღიარებულ ბიოეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის განსაზღვრის, კვლევის მასში მონაწილე პირების უსაფრთხოების, მათი უფლებების, ღირსების, ავტონომიისა და კეთილდღეობის დაცვით დაგეგმვის მიზნით. აღწერილი აქტივობა სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და დაცვით დისერტაციის დაცვის კომისიის წინაშე (განსაზღვრულია დოკუმენტით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“) სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პირველი ან მეორე სემესტრის დასასრულს.

კვლევითი სემინარი. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ დოქტორანტი ყოველსემესტრულად ასრულებს კვლევით სემინარს. ამ აქტივობის ფარგლებში დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად პერიოდულად წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს თსა-ს პერსონალს და სტუდენტებს, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კვლევითი სემინარი ითვალისწინებს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის ყოველსემესტრულ განმავითარებელ შეფასებას და წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობას.

სამეცნიერო პუბლიკაცია. სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სავალდებულო ნაწილია დისერტაციის თემასთან დაკავშირებული არანაკლებ 2 სტატიის გამოქვეყნება ან გამოსაქვეყნებლად წარდგენა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში (Scopus, Science Direct, PubMed, MEDLINE, EBSCO, ERIH Plus, Web of Science და სხვ.). სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დეტალური მოთხოვნები განისაზღვრება დოკუმენტით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

ამდენად, სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ფარგლებში კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროგრესი (გარდა პროსპექტუსისა) ყოველსემესტრულად დასტურდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, რაც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს.

სასწავლო კომპონენტი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სასწავლო კომპონენტი 30 ECTS კრედიტით განისაზღვრება და მოიცავს 4 სავალდებულო და 4 არჩევით სასწავლო კურსს. მისი სტრუქტურა და განხორციელების პრინციპი გულისხმობს დოქტორანტის კვლევითი აქტივობის და კარიერული განვითარების ხელშეწყობას. სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ფარგლებში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დოქტორანტი აყალიბებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის დეპარტამენტთან შეთანხმებით. გამონაკლისს წარმოადგენს სასწავლო კურსი „ასისტირება“.

ასისტირება. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ დოქტორანტი ერთვება თსა-ს აკადემიურ პროცესებში. კერძოდ, მას შეუძლია სწავლების და/ან კვლევის ასისტირება. ამ შემთხვევაში დოქტორანტი ლექტორის სტატუსით ახორციელებს თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კურიკულუმით განსაზღვრულ კონკრეტულ სასწავლო კურსს. აღნიშნული აქტივობის დაგეგმვაში დოქტორანტის, სამეცნიერო ხელმძღვანელის და სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის დეპარტამენტთან ერთად ასევე

მონაწილეობს შესაბამისი სკოლის დეკანი. ასისტირებისთვის დოქტორანტისთვის სავალდებულოა სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სასწავლო კურსების „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპები“ და „კვლევის მეთოდები“ გავლა. ასისტირება ასევე გულისხმობს დოქტორანტის მენტორის სტატუსით სტუდენტთა კვლევით აქტივობებში მონაწილეობას. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსი „ასისტირება“ ითვალისწინებს დოქტორანტის აქტივობის ყოველსემესტრულ განმავითარებელ შეფასებას პასუხისმგებელი პირის მიერ და სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს.

სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ფარგლებში გამოიყენება კომპეტენციის შეფასების სამი დონე, რაც გულისხმობს:

- **განვითარება (D):** ასახავს განმარტებას, დოქტორანტმა „იცის როგორ“
- **პრაქტიკა (P):** ასახავს შესრულებას, დოქტორანტი „გვიჩვენებს როგორ“
- **დაუფლება (M):** ასახავს მოქმედებას, დოქტორანტი „აკეთებს“.

კურსი	სტატუსი	ECTS კრედიტები	სემესტრი	LO1	LO2	LO3	LO4	LO5	LO6
სასწავლო კომპონენტი - 30 ECTS									
საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპები	M*	10	I-II	P	P	P	P	P	D
ასისტირება	M	5	III-IX	M	M	M	M	M	M
კვლევის მეთოდები	M	5	I-II	P	M	M	P	P	P
ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა	M	5	I-II	P	M	P	P	P	P
აკადემიური წერა	E**	5	I-IX	M	P	M	P	M	P
საპროექტო განაცხადის მომზადება	E	5	I-IX	M	M	M	M	M	M
სამედიცინო განათლება	E	5	I-IX	D	D	P	P	P	D
შეფასება სამედიცინო განათლებაში	E	5	II-IX	P	P	M	M	M	P
კვლევითი კომპონენტი - აქტივობები									
პროსპექტუსი	M	--	I-II	P	M	P	D	M	D

კვლევითი სემინარი	M	--	III-IX	M	M	M	M	M	M
სამეცნიერო პუბლიკაცია	M	--	III-IX	M	M	M	M	M	P
სადოქტორო ნაშრომის შესრულება და დაცვა	M	--	III-X	M	M	M	M	M	M

**M - სავალდებულო სასწავლო კურსი*
***E - არჩევითი სასწავლო კურსი*

შეფასების სისტემა სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კურსის ფარგლებში დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება შესაბამისი კრედიტი. დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი შეფასების სისტემის გამოყენებით. მიმდინარე შეფასების პროცესისთვის განსაზღვრულია 60 ქულა, ფინალური კომპონენტის შეფასებისთვის განსაზღვრულია 40 ქულა. ფინალურ კომპონენტზე დაშვების წინაპირობაა მიმდინარე შეფასების პროცესში 31 ქულის მიღება. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ფინალურ კომპონენტად განისაზღვრება სამეცნიერო ნაშრომი - ანალიზური ესსე, სამეცნიერო პროექტი, სამეცნიერო ანგარიში, სამეცნიერო პუბლიკაცია, და ა.შ.

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსის შესრულების შემდეგ დოქტორანტს ენიჭება ECTS კრედიტები, თუ ფინალური კომპონენტის შეფასების შემდეგ ის აგროვებს 100-დან მინიმუმ 51 ქულას. თუ დოქტორანტის შეფასება 41-50 ქულის ფარგლებშია, მას უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს ფინალური კომპონენტის რედაქტირებული ვერსია კურსის გამეორების გარეშე. ფინალური კომპონენტის საბოლოო წარდგენასა და ხელახლა წარდგენას შორის დროის შუალედი უნდა იყოს მინიმუმ 5 დღე და განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე. თუ დოქტორანტის დასკვნითი შეფასება 41 ქულაზე ნაკლებია, მან ხელახლა უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

<u>სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა შემდეგია:</u>

91-100 (A) - ფრიადი
81-90 (B) - ძალიან კარგი
71-80 (C) - კარგი
61-70 (D) - დამაკმაყოფილებელი
51-60 (E) – საკმარისი
41-50 (FX) – ჩაიჭრა, დოქტორანტს ეძლევა ფინალური კომპონენტის გადაბარების უფლება

0-40 (F) – ჩაიჭრა, დოქტორანტმა ECTS კრედიტის მოსაპოვებლად ხელმეორედ უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

ასისტირება

<u>სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სასწავლო კომპონენტი „ასისტირება“ მოიაზრებს განმავითარებელ სემესტრულ შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ შესრულებული აქტივობის:</u>

- შინაარსობრივ ღირებულებას
- დაგეგმვის პრინციპებს
- იმპროვიზაციას და ინოვაციურობას
- აქტივობის განხორციელების ტექნიკურ ასპექტებს
- სასწავლო პროცესით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის უნარს.

შეფასების პრინციპები სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ კვლევითი კომპონენტის ფარგლებში

პროსპექტუსი

პროსპექტუსის შეფასებას სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს დისერტაციის დაცვის კომისია (პროცედურა განისაზღვრება დოკუმენტით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულება“). აღნიშნული პროცესი გულისხმობს კომისიისთვის 30 წუთიანი პრეზენტაციის წარდგენას, რომელიც ასახავს დაგეგმილი კვლევის:

- თემას/პრობლემას და მის აქტუალობას
- ლიტერატურის მიმოხილვას
- მიზანს, ამოცანებს და/ან ჰიპოთეზას
- მეთოდოლოგიას
- გეგმას და მოსალოდნელ შედეგებს
- ბიბლიოგრაფიას.

პროსპექტუსის შეფასებისას დისერტაციის დაცვის კომისია ხელმძღვანელობს შეფასების დუალური პრინციპით (დიახ/არა) ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად:

- განსაზღვრული თემის აქტუალობა, ადეკვატური ფორმულირება
- მიზნ(ებ)ის განსაზღვრა და მკაფიო ფორმულირება
- თეზისი/სამეცნიერო ჰიპოთეზა
- მიზნების შესაბამისობა თემასთან და თეზისთან/სამეცნიერო ჰიპოთეზასთან
- კვლევის მეთოდოლოგია
- კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებთან
- მოსალოდნელი შედეგები
- მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობა თეზისთან/სამეცნიერო ჰიპოთეზასთან
- ბიოეთიკური ასპექტები
- მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა

- შესრულებული სამუშაოს შინაარსობრივი ღირებულება
- თემის პრეზენტაციის უნარი
- საკუთარი არგუმენტაცია, ანალიზი
- დასკვნების ორიგინალურობა, სიახლე მსჯელობაში
- კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი
- ტექნიკური ასპექტები და რეგლამენტის დაცვის უნარი.

პროსპექტუსის შეფასებისას დისერტაციის დაცვის კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დისერტაციის დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

კვლევითი სემინარი

<u>კვლევითი სემინარი ითვალისწინებს განმავითარებელ სემესტრულ შეფასებას, რომელიც ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:</u>

- აქტივობის შინაარსობრივი ღირებულება
- პრობლემის განსაზღვრა და წარმოდგენა
- მონაცემების ანალიზი
- დასკვნა
- იმპროვიზაცია და ინოვაციურობა
- აქტივობის განხორციელების ტექნიკური მხარე
- რეგლამენტის დაცვის უნარი.

სადისერტაციო ნაშრომის და დისერტაციის დაცვის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის და დისერტაციის დაცვის შეფასება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“ განსაზღვრული სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად. სადისერტაციო ნაშრომი და დისერტაციის დაცვა ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. აღნიშნული პროცესი გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის და მისი დაცვის დისერტაციის დაცვის კომისიის თითოეული წევრის მიერ შეფასებას 100 ქულიანი სისტემით „სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მიღებული შეფასებების დაჯამებით მიღებული ქულების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

Summa cum laude	ფრიადი, 91-100 ქულა	შესანიშნავი ნაშრომი
Magna cum laude	ძალიან კარგი, 81-90 ქულა	ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ზედმიწევნით შეესაბამება

Cum laude	კარგი, 71-80 ქულა	ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეესაბამება
Bene	საშუალო, 61-70 ქულა	ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს მეტწილად შეესაბამება
Rite	დამაკმაყოფილებელი, 51-60 ქულა	ნაშრომი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეესაბამება
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი, 41-50 ქულა	არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები
Sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, 40 ქულა და ნაკლები	სრულიად არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.